

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი 2007 წლის 11 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/36/EC დირექტივა, „საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ ნებადართული აქციების ემიტენტ (ჩამოთვლილ) კომპანიებში აქციონერთა გარკვეული უფლებების განხორციელების თაობაზე“¹		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში: №1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ №2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი წშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	1. წინამდებარე დირექტივა აწესებს მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება აქციონერთა ხმის უფლებების მქონე აქციებით მიღებული გარკვეული უფლებების განხორციელებას, იმ კომპანიების აქციონერთა კრებებთან მიმართებით, რომლებსაც თავიანთი იურიდიული მისამართი გააჩნიათ წევრ სახელმწიფოში და რომელთა აქციებიც სავაჭროდ დაშვებულია წევრ სახელმწიფოში მდებარე ან ფუნქციონირებად რეგულირებულ ბაზარზე. 2. წინამდებარე დირექტივით დაფარული საკითხების დასარეგულირებლად კომპეტენტური წევრი სახელმწიფო არის წევრი სახელმწიფო, სადაც კომპანიას გააჩნია თავისი იურიდიული მისამართი, ხოლო მითითებები „მოქმედ კანონებზე“ წარმოადგენს მითითებებს აღნიშნული წევრი სახელმწიფოს კანონებზე. 3. წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე დირექტივიდან შესაძლოა გამორიცხონ შემდეგი ტიპის კომპანიები:	№ 1	1	1. ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს. 2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოპერატივის წესდებით ან პარტნიორთა სხვაგვარი შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნორმა სავალდებულოდ შესასრულებელია, მათ შორის, როცა ნორმა უშუალოდ უკავშირდება მესამე პირის ინტერესის დაცვას. 3. სამეწარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ - წესდება) ასევე შეიძლება მოწესრიგდეს საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ კანონით, ან	სშ	დირექტივიდან გამომდინარე შემუშავებული დებულებები კანონპროექტით ვრცელდება ანგარიშვალდებულ სს-ებზე.

¹ ცხრილის შედგენისას გამოყენებულია დირექტივის კონსოლიდირებული ვერსია 02/07/2014-ის მდგომარეობით. გასათვალისწინებელია, რომ 2017 წელს (EU) 2017/828 დირექტივით მასში შევიდა ცვლილებები, თუმცა მათი ტრანსპოზიციის მიზანშეწონილობა დამატებითაა განსახილველი.

	(a) კოლექტიური ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიები 1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საწარმოსთან (UCTIS) მიმართებაში, კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ 85/611/EEC დირექტივის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში; (b) კომპანიები, რომელთა ერთადერთ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მიერ უზრუნველყოფილი კაპიტალის კოლექტიური ინვესტიცია, რომლებიც მოქმედებენ რისკის გავრცელების პრინციპით და არ ცდილობენ იურიდიული ან მენეჯერული კონტროლის განხორციელებას მათი ძირითადი ინვესტიციების ნებისმიერ ემიტენტზე, იმ პირობით, რომ ეს კოლექტიური ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიები ავტორიზებულია და ექვემდებარება კომპეტენტური ორგანოების ზედამხედველობას და ჰყავთ დეპოზიტარი, რომელიც ახორციელებს 85/611/EEC დირექტივის შესაბამის ეკვივალენტურ ფუნქციებს. (c) კოოპერატივები. 4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს დირექტივა არ იქნას გამოყენებული ევროპარლამენტის და საბჭოს 2014/59/EU დირექტივის IV თავში გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტების, უფლებამოსილებისა და მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში.			განიერცოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც ამომწურავად არ აწესრიგებს მოცემულ საკითხს. 4. სააქციო საზოგადოების წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისგან განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. 5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ერთობლივ საინვესტიციო ფონდებზე.		
2	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები: (a) 'რეგულირებული ბაზარი' ნიშნავს ბაზარს, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრების შესახებ 2004/39/EC დირექტივის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.				შ	ტერმინი „რეგულირებული ბაზარი“ კანონპროექტში განმარტებული არ არის, ვინაიდან აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს უშუალოდ მოცემული კანონპროექტის მოწესრიგების საკითხს. საქართველოში მხოლოდ ბაზრის ნაწილია რეგულირებული. რეგულირებული სეგმენტი და რეგულირების კომპეტენცია განისაზღვრება ისეთი კანონებით, როგორებიცაა „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და ა.შ. შესაბამისად, მოცემული ტერმინი წარმოდგენილ კანონპროექტში განმარტებას არ საჭიროებს.

	(ბ) „აქციონერი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედი კანონით აღიარებულია აქციონერად;	№ 1	174	1. აქციონერს უფლება აქვს: ა) მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრებაში; ბ) გაეცნოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს; გ) კანონით და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციას და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით, ან ელექტრონულად თუ აქციონერს წინასწარ აქვს გაცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე. ასევე, მიიღოს ინფორმაცია სააქციო საზოგადოებისაგან ამ კანონის 204-ე მუხლითა და წესდებით განსაზღვრული წესით; დ) მიიღოს დივიდენდი; ე) თავისუფლად განკარგოს მის საკუთრებაში არსებული აქცია; ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსთხოვოს სააქციო საზოგადოებას მის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა; ზ) მიიღოს სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად ნარჩენი ქონება; თ) განახორციელოს ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებით ან კანონიდან გამომდინარე სააქციო საზოგადოების წესდებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები. 2. აქციონერს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს მის მფლობელობაში არსებული აქცია სააქციო საზოგადოების ან სხვა აქციონერების თანხმობის გარეშე, თუ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აქციონერი ვალდებულია: ა) შეიტანოს შენატანი კუთვნილი აქციის მოსაპოვებლად; ბ) მიაწოდოს ინფორმაცია სააქციო საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების თაობაზე, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში; გ) განახორციელოს სხვა მოვალეობები, რომელიც დადგენილია კანონით ან კანონიდან გამომდინარე სააქციო საზოგადოების წესდებით.	სშ	
		№ 1	177			

	(c) „მინდობილობა“ ნიშნავს აქციონერის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის აღჭურვას უფლებამოსილებით, რათა მან აქციონერის სახელით განახორციელოს მისი ზოგი ან ყველა უფლება აქციონერთა კრებაზე.	№ 1	195.1	პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება აქციონერს შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.		
		№ 2	103.1	გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე	სშ	წარმომადგენლობის ინსტიტუტი რეგულირდება სსკ-ს მე-7 თავით დადგენილი წესებით.
3	წინამდებარე დირექტივა ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს დამატებითი ვალდებულებები დააკისრონ კომპანიებს ან გაატარონ დამატებითი ღონისიებები, რათა აქციონერებს გაუადვილონ წინამდებარე დირექტივაში მითითებული უფლებებით სარგებლობა.				ას	დირექტივის მოცემული დებულება დისკრეციული ხასიათისაა და იძლევა შესაძლებლობას.
4	კომპანია უზრუნველყოფს ყველა აქციონერის თანასწორ მოპყრობას, რომლებიც არჩევენ მონაწილეობასთან და ხმის უფლების გამოყენებასთან მიმართებით აქციონერთა კრებაზე ერთნაირ მდგომარეობაში არიან.	№ 1	36.2	თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით ან წესდებით არის პირდაპირ გათვალისწინებული და აუცილებელია სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.	სშ	
5.1	ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2004/25/EC მე-9(4) და მე-11(4) მუხლების შეუზღუდავად, რომელიც შეეხება საჯარო შეთავაზებაზე მსხვილი პაკეტის ნასყიდობას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანია გასცემს საერთო კრებაზე მოსაწვევს, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ერთ-ერთი სახით, კრების დღემდე არაუგვიანეს 21 დღით ადრე.	№ 1	191.1	გადაწყვეტილება პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, პარტნიორთა კრების ჩატარების დღემდე სულ ცოტა 21 დღით ადრე.	სშ	
	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ, რომ, როცა კომპანია აქციონერებს სთავაზობს ყველა აქციონერისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას ხმის ელექტრონულად მისაცემად, აქციონერთა საერთო კრებამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ გასცეს მოსაწვევი საერთო კრებაზე, რომელიც არ წარმოადგენს ყოველწლიურ საერთო კრებას, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი სახით, კრების დღემდე არაუგვიანეს 14 დღით ადრე. წინამდებარე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს აქციებით წარმოდგენილი ხმების ან გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის მინიმუმ ორი მესამედის უმრავლესობით და მოქმედების ვადა ექნება მაქსიმუმ მომდევნო ყოველწლიურ აქციონერთა კრებამდე.				ას	დირექტივის მოცემული დებულება დისკრეციული ხასიათისაა და იძლევა შესაძლებლობას.
	წევრ სახელმწიფოებს არ სჭირდებათ, გამოიყენონ პირველ და მეორე ქვეაზნაცში მითითებული მინიმალური ვადები საერთო კრების მეორე ან შემდგომი მოსაწვევის გაცემამდე, რომელიც გაიცემა პირველი მოსაწვევით მოწვეული კრებისთვის საჭირო კვორუმის ნაკლებობის გამო იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლი სრულდება საერთო	№1	191.3	ყოველი მომდევნო პარტნიორთა კრება შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ პარტნიორთა კრება მოიწვევა პირველი მოწვევით ჩასატარებელი პარტნიორთა კრებისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი	სშ	

	კრებაზე პირველი მოსაწვევით, დღის წესრიგს არ ემატება არაფერი და საერთო კრებაზე ბოლო მოსაწვევსა და აქციონერთა კრების თარიღს შორის შუალედი არის მინიმუმ 10 დღე.			კრების მოწვევა მოხდა კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით და დღის წესრიგში არ არის დამატებული ახალი საკითხი. აღნიშნულ შემთხვევაში, ბოლო მოწვევასა და პარტნიორთა კრების თარიღს შორის სულ მცირე 10 დღიანი შუალედი უნდა იყოს.		
5.2	კომპეტენტური წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ცნობების ან გამოქვეყნების შემდგომი მოთხოვნების შეუზღუდავად, როგორც ეს განსაზღვრულია 1(2)-ლი მუხლით, კომპანიას უნდა მოეთხოვოს წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული საერთო კრების მოსაწვევის გაცემა ისეთი სახით, რაც უზრუნველყოფს მასზე სწრაფ წვდომას არადისკრიმინაციულ საფუძველზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ, რომ კომპანია იყენებდეს ისეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელზეც გონივრულად დაყრდნობა შესაძლებელია ინფორმაციის ეფექტური გავრცელებისთვის, ევროგაერთიანების მასშტაბით. წევრმა სახელმწიფოებმა კომპანიას შეიძლება არ დააკისრონ ვალდებულება, გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებები, რომელთა ოპერატორებიც დაფუძნებულია მათ ტერიტორიაზე. არ არის საჭირო წევრმა სახელმწიფოებმა პირველი აბზაცი მიუსადაგონ კომპანიებს, რომელთაც შეუძლიათ აქციონერთა არსებული რეესტრიდან დაადგინონ აქციონერთა სახელები და მისამართი იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვალდებულია, აქციონერთა კრებაზე მოსაწვევი გაუზიაროს თითოეულ რეგისტრირებულ აქციონერს. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება კომპანიამ შეცვალოს აქციონერთა კრების მოსაწვევის განსაზღვრული სახით გამოშვების სპეციალური ფასი.	№1 №1	191.1 191.2	გადაწყვეტილება პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, პარტნიორთა კრების ჩატარების დღემდე სულ ცოტა 21 დღით ადრე. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ, ასევე, ქვეყნდება სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, თუ საზოგადოებას აქვს ვებგვერდი.	სშ	
5.3	1-ელ პუნქტში მითითებული საერთო კრების მოსწვევი მინიმუმ უნდა: (ა) ზუსტად უთითებდეს სად და როდის ჩატარდება აქციონერთა კრება და ასევე აქციონერთა კრების შემოთავაზებულ დღის წესრიგს; (ბ) შეიცავდეს იმ პროცედურების გასაგებ და ზუსტ აღწერას, რომლებიც უნდა შეასრულონ აქციონერებმა იმისთვის, რომ შეეძლოთ აქციონერთა კრებაში მონაწილეობა და ხმის მიცემა. აღნიშნულში შედის შემდეგი ინფორმაცია: (ი) აქციონერებისთვის მე-6 მუხლით ხელმისაწვდომი უფლებების შესახებ ისე, რომ აღნიშნული უფლებები	№1 №1	191.5. „ბ“ და „ე“ 191.6. „ვ.ა“	პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ბ) პარტნიორთა კრების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დროს; ე) პარტნიორთა კრების დღის წესრიგს. იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა	სშ	

	შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთო კრებაზე მოსაწვევის გამოშვების შემდეგ მე-9 მუხლითა და იმ ვადებით, რომლებშიც შეიძლება მოხდეს აღნიშნული უფლებების განხორციელება; საერთო კრებაზე მოსაწვევში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ საბოლოო ვადები, რომელშიც უნდა მოხდეს აღნიშნული უფლებების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ მასში შედის მითითება უფრო დეტალურ ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის ვებსაიტზე;			კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ვ) იმ პროცედურის ზუსტ აღწერას, რომელიც უნდა გაიაროს აქციონერმა პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისათვის, მათ შორის: ვ.ა) ამ კანონის 193-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს, თუ ამ უფლებებით სარგებლობა შესაძლებელია პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოცემის შემდგომ ამ კანონის 204-ე მუხლის მოთხოვნათა და ამ უფლებების მიმართ დადგენილი ვადების გათვალისწინებით;		
(ii)	წარმომადგენლის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურა, განსაკუთრებით, წარმომადგენლის მეშვეობით ხმის მიცემის ფორმები და საშუალებები, რომლებითაც კომპანია მზადაა ელექტრონული შეტყობინებების მისაღებად წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ, და	№1	191.6. „ვ.ბ“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ვ) იმ პროცედურის ზუსტ აღწერას, რომელიც უნდა გაიაროს აქციონერმა პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისათვის, მათ შორის: ვ.ბ) წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემის პროცედურას, კერძოდ, ხმის მიცემის ფორმებსა და წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე სააქციო საზოგადოების მიერ შეტყობინების ელექტრონული ფორმით მიღების შესაძლებლობას;	სშ	
(iii)	საჭიროების შემთხვევაში, ფოსტით ან ელექტრონული საშუალებებით ხმის მიცემის პროცედურები;	№1	191.6 „ვ.გ“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ვ) იმ პროცედურის ზუსტ აღწერას, რომელიც უნდა გაიაროს აქციონერმა პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისათვის, მათ შორის:	სშ	

				ვ.გ) ამ კანონის 196-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქციონერის მიერ წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხმის მიცემის პროცედურას;		
	(c) საჭიროების შემთხვევაში, აქციონერების რეგისტრაციის თარიღი, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7(2) მუხლში და განმარტება, რომ მხოლოდ მათ, ვინც აღნიშნულ თარიღში არიან აქციონერები, უნდა ჰქონდეთ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება;	№1	191.5. „დ“	პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: დ) სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აქციონერებად ირიცხებიან სააღრიცხვო დღეს;	სშ	
	(d) მიეთითოს, სად და როგორ შეიძლება მე-4 აბზაცის (c) და (d) ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტების სრული და შეუმოკლებელი ტექსტებისა და რეზოლუციების პროექტების მოპოვება;	№1	191.6. „ზ“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ზ) კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილსა და პირობებს.	სშ	
	(e) მიეთითოს იმ ინტერნეტ გვერდის მისამართი, სადაც მე-4 პუნქტში მითითებული ინფორმაცია უნდა გახდეს ხელმისაწვდომი.	№1	191.1	გადაწყვეტილება პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, პარტნიორთა კრების ჩატარების დღემდე სულ ცოტა 21 დღით ადრე.	სშ	
		№1	191.2	გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ, ასევე, ქვეყნდება სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, თუ საზოგადოებას აქვს ვებგვერდი.		
5.4	წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დროის განუწყვეტელ მონაკვეთში, რომელიც იწყება საერთო კრებამდე მინიმუმ 21 დღით ადრე და გრძელდება კრების დღის ჩათვლით, კომპანიამ თავის ვებგვერდზე აქციონერებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: (a) 1-ელ პუნქტში მითითებული საერთო კრების მოსაწვევი;	№1	191.6. „ა“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:	სშ	

			ა) ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ;		
(b) აქციებისა და საარჩევნო ხმების საერთო რაოდენობა, საერთო კრებაზე მოსაწვევის გაცემის დღეს (აქციების თითოეული კლასის ცალკეული საერთო რაოდენობის ჩათვლით, როცა კომპანიის კაპიტალი იყოფა აქციების ორ ან მეტ კლასად);	№1	191.6. „ბ“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ბ) აქციათა საერთო რაოდენობა და ხმები მოწვევის თარიღისათვის, მათ შორის, აქციათა საერთო რაოდენობა თითოეული კლასის აქციისათვის, თუ სააქციო საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია ორი ან მეტი კლასის აქციებად;	სშ	
(c) აქციონერთა კრებაზე წარსადგენი დოკუმენტები;	№1	191.6. „გ“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: გ) პარტნიორთა კრებისათვის წარსადგენი დოკუმენტები;	სშ	
(d) რეზოლუციის პროექტი და როცა რეზოლუციის მიღება არ არის განზრახული, კომპეტენტური ორგანოს კომენტარი კომპანიაში, რომელიც დადგენილი უნდა იქნეს შესაბამისი კანონით, აქციონერთა კრების შეთავაზებული დღის წესრიგის თითოეული ნაწილისთვის; უფრო მეტიც, აქციონერების მიერ განსახილველად წარდგენილი რეზოლუციის პროექტები უნდა დაემატოს ინტერნეტ საიტზე შეძლებისდაგვარად სწრაფად მას შემდეგ, რაც კომპანია რეზოლუციების პროექტებს მიიღებს;	№1	191.6. „დ“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: დ) მისაღები გადაწყვეტილების პროექტი ან მისი არარსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს კომენტარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე; ასევე, ამ კანონის 193-ე მუხლის	სშ	

			პირველი პუნქტის მიხედვით აქციონერების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტები, რომლებიც ვებგვერდზე უნდა განთავსდეს სააქციო საზოგადოების მიერ მათი მიღებიდან გონივრულ ვადაში;		
(ე) საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლისა და ფოსტის მეშვეობით ხმის მიცემისას გამოსაყენებელი ფორმები, თუ აღნიშნული ფორმები პირდაპირ არ ეგზავნება აქციონერს.	№1	191.6. „ე“	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ე) საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით ან წერილობით ხმის მიცემის ფორმები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ფორმები პირდაპირ ეგზავნება თითოეულ აქციონერს.	სშ	
თუ (ე) ქვეპუნქტში მითითებული ფორმები შეუძლებელია გახდეს ხელმისაწვდომი ინტერნეტში ტექნიკური მიზეზების გამო, კომპანიამ ინტერნეტ საიტზე უნდა მიუთითოს თუ როგორ შეიძლება მოხდეს ფორმების ქაღალდის სახით მოპოვება. ამ შემთხვევაში კომპანიას უნდა მოეთხოვოს, თითოეულ აქციონერს, რომელიც ამას მოითხოვს, უფასოდ გაეგზავნოს ფორმები ფოსტით.	№1	191.7	თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმები ხელმისაწვდომი არ არის ვებგვერდზე ტექნიკური მიზეზების გამო, სააქციო საზოგადოებამ უნდა მიუთითოს ასეთი ფორმების მატერიალურად ხელმისაწვდომობის თაობაზე. აქციონერის მოთხოვნის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებამ ფორმები უფასოდ უნდა გააგზავნოს ფოსტით.	სშ	
თუ დირექტივის 2004/25/EC მე-9(4)-ე ან მე-11(4) მუხლების ან წინამდებარე მუხლის მეორე ქვეაზმის თანახმად, საერთო კრებაზე მოსაწვევი გაიცემა კრებამდე 21-ე დღეზე გვიან, წინამდებარე აზმით განსაზღვრული დროის მონაკვეთი მოკლდება შესაბამისად.	№1	191.6	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად შემცირებულ ვადაში და მათ შორის, პარტნიორთა კრების ჩატარების დღეს აქციონერებისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: ა) ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ; ბ) აქციათა საერთო რაოდენობა და ხმები მოწვევის თარიღისათვის, მათ შორის, აქციათა საერთო რაოდენობა თითოეული კლასის აქციისათვის, თუ სააქციო საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია ორი ან მეტი კლასის აქციებად;	სშ	

				გ) პარტნიორთა კრებისათვის წარსადგენი დოკუმენტები; დ) მისაღები გადაწყვეტილების პროექტი ან მისი არარსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს კომენტარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითზე; ასევე, ამ კანონის 193-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით აქციონერების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტები, რომლებიც ვებგვერდზე უნდა განთავსდეს სააქციო საზოგადოების მიერ მათი მიღებიდან გონივრულ ვადაში; ე) საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით ან წერილობით ხმის მიცემის ფორმები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ფორმები პირდაპირ ეგზავნება თითოეულ აქციონერს. ვ) იმ პროცედურის ზუსტ აღწერას, რომელიც უნდა გაიაროს აქციონერმა პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისათვის, მათ შორის: ვ.ა) ამ კანონის 193-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს, თუ ამ უფლებებით სარგებლობა შესაძლებელია პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოცემის შემდგომ ამ კანონის 204-ე მუხლის მოთხოვნათა და ამ უფლებების მიმართ დადგენილი ვადების გათვალისწინებით; ვ.ბ) წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემის პროცედურას, კერძოდ, ხმის მიცემის ფორმებსა და წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე სააქციო საზოგადოების მიერ შეტყობინების ელექტრონული ფორმით მიღების შესაძლებლობას; ვ.გ) ამ კანონის 196-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქციონერის მიერ წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხმის მიცემის პროცედურას; ზ) კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილსა და პირობებს.		
5.5	წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, საერთო კრებამ შეიძლება კანონიერად მიცემული ხმების ორი მესამედით გამოსცეს საერთო კრების მოსაწვევი ან შეცვალოს დებულება იმის დასადგენად, რომ აქციონერთა კრებაზე მოსაწვევი გაიცა უფრო ადრე, ვიდრე ეს განსაზღვრულია წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით, სააქციო კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მისაღწევად იმ შემთხვევაში, თუ კრება არ ტარდება საერთო კრების მოსაწვევის გაცემიდან ათ კალენდარულ დღეში, რომ დირექტივის 2014/59/EU 27-ე ან 29-ე მუხლის პირობები სრულდება და სააქციო კაპიტალის	№1	166.1	თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, გადაწყვეტილება დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ მიიღება პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა არანაკლებ 3/4-ის მიერ.	ნშ	კანონპროექტი ითვალისწინებს ხმათა 3/4-ის უმრავლესობით (ყველა) გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციისათვის, აწესებს დირექტივასთან შედარებით უფრო მაღალ სტანდარტს, ყველა გადაწყვეტილებასთან მიმართებით.
		№1	171.5	გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიიღება პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა 3/4-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხმათა არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილება		

	ზრდა აუცილებელია ამ დირექტივის 32-ე და 33-ე მუხლებით განსაზღვრული რეზოლუციის თავიდან ასაცილებლად.			ექვემდებარება განცალკევებულ კენჭისყრას აქციათა ყველა იმ კლასისათვის, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. პარტნიორთა კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს წინადადების საფუძველზე. პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზანი და განხორციელების მეთოდი.		
5.6	მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, თითოეული წევრი სახელმწიფოს ვალდებულებაა დაადგინოს ბოლო ვადა, მე-6(3) მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს განახლებული დღის წესრიგის დროული ხელმისაწვდომობა, მე-6(4) მუხლის შესაბამისად, ხოლო ვალდებულება, ყოველმა წევრმა სახელმწიფომ დააწესოს აქციონერთა რეგისტრაციის ერთი თარიღი, მე-7(3) მუხლის შესაბამისად, არ გამოიყენება.	№1	191.(1-3)	1. გადაწყვეტილება პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, პარტნიორთა კრების ჩატარების დღემდე სულ ცოტა 21 დღით ადრე. 2. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ, ასევე, ქვეყნდება სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, თუ საზოგადოებას აქვს ვებგვერდი. 3. ყოველი მომდევნო პარტნიორთა კრება შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ პარტნიორთა კრება მოიწვევა პირველი მოწვევით ჩასატარებელი პარტნიორთა კრებისათვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი კრების მოწვევა მოხდა კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით და დღის წესრიგში არ არის დამატებული ახალი საკითხი. აღნიშნულ შემთხვევაში, ბოლო მოწვევასა და პარტნიორთა კრების თარიღს შორის სულ მცირე 10 დღიანი შუალედი უნდა იყოს.	სშ	
			192.3	ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოაქვეყნონ მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი და მიუთითონ ამ გადაწყვეტილების საფუძველებზე.		
			193	1. კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვით:		

			ა) მოითხოვოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტები; ბ) პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე წარადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება. 2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით მოცემული შემთხვევა იწვევს პარტნიორთა კრების დღის წესრიგის ცვლილებას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია, სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს აქციონერებს განახლებული დღის წესრიგი ამ კანონის 191-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით. თუ განახლებული დღის წესრიგის მიწოდების ვალდებულება წარმოიშობა სააღრიცხვო დღის შემდგომ, მისი მიწოდება უნდა მოხდეს პარტნიორთა კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება მიეცეთ, დანიშნონ წარმომადგენელი ან ხმა მისცენ წერილობით. 3. ხმის უფლების მქონე აქციათა სულ ცოტა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოში, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელ ორგანოში ასარჩევი კანდიდატურები, თუ რიგგარეშე კრების ჩატარების დღემდე სულ ცოტა 14 დღით ადრე შეიტანს სათანადო განაცხადს ხელმძღვანელ ორგანოში. შეტანილი წინადადება უნდა შეიცავდეს წევრობის კანდიდატებისათვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს. 4. ხელმძღვანელმა ორგანომ განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა შეიტანოს შემოთავაზებული საკითხი კრების დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დარღვეულია განცხადების შეტანის ვადა ან საკითხი არ განეკუთვნება პარტნიორთა კრების კომპეტენციას. დღის წესრიგის ცვლილებაზე, ისევე როგორც აქციონერის მიერ წარდგენილ გადაწყვეტილების პროექტზე შესაბამისად მოქმედებს გამოქვეყნების შესახებ ამ კანონის 191-ე მუხლით დადგენილი წესები. 5. ხელმძღვანელი ორგანოს უარი დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია, განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს გამოქვეყნების		
--	--	--	---	--	--

				გზით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას. 6. პარტნიორთა კრების დღის წესრიგი პარტნიორთა კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ კრებას ესწრება ყველა აქციონერი. ამ მოთხოვნის დარღვევით დღის წესრიგში შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.		
6.1	წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მოქმედ აქციონერებს: (ა) ჰქონდეთ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების შეტანის უფლება იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ ასეთ საკითხს ერთვის დასაბუთება ან საერთო კრებაზე მისაღები რეზოლუციის პროექტი და	№1	193.1. „ა“	კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვით: ა) მოითხოვოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტები;	სშ	
	(ბ) ჰქონდეთ რეზოლუციების პროექტების განსახილველად წარდგენის უფლება საერთო კრების დღის წესრიგში ჩასმული ან ჩასასმელი საკითხებისთვის.	№1	193.1. „ბ“	კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვით: ბ) პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე წარადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება.	სშ	
	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ, რომ (ა) ქვეპუნქტში მითითებული უფლება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ყოველწლიურ საერთო კრებასთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მოქმედ აქციონერებს აქვთ უფლება მოიწვიონ ან კომპანიას მოსთხოვონ მოიწვიოს აქციონერთა კრება, რომელიც არ წარმოადგენს ყოველწლიურ აქციონერთა კრებას, იმ დღის წესრიგით, რომელშიც შედის აქციონერების მიერ მოთხოვნილი მინიმუმ ყველა საკითხი.				ას	დირექტივის მოცემული მოთხოვნა დისკრეციული ხასიათისაა
	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ, რომ აღნიშნული უფლებები განხორციელდეს წერილობით (წარდგენილი იქნეს ფოსტით ან ელექტრონული საშუალებებით).	№1	193.1	კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვით: ა) მოითხოვოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტები;	სშ	

				ბ) პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე წარადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება.		
6.2	თუ 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი უფლება ექვემდებარება პირობას, რომ შესაბამისი აქციონერი ან აქციონერები ფლობენ კომპანიის მინიმალურ წილს, აღნიშნული მინიმალური წილი არ უნდა აჭარბებდეს სააქციო კაპიტალის 5 %-ს.	№1	193.1	კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვით: ა) მოითხოვოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტები; ბ) პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე წარადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება.	სშ	
6.3	თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ერთი საბოლოო ვადა დღეების განსაზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით აქციონერთა კრების ან საერთო კრების მოსაწვევის გაცემამდე, რომლითაც აქციონერებმა შეიძლება განახორციელონ 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული უფლება. ამავე სახით, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს საბოლოო ვადა 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში მითითებული უფლების განსახორციელებლად.	№1	193.1	კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვით: ა) მოითხოვოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტები; ბ) პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე წარადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება.	სშ	
6.4	წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ, თუ 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული უფლებების განხორციელებას მოჰყვება იმ საერთო კრების დღის წესრიგის შეცვლა, რომელიც უკვე ცნობილია აქციონერებისთვის, კომპანიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს განახლებული დღის წესრიგი, წინა დღის წესრიგის მსგავსად, შესაბამისი აქციონერთა რეგისტრაციის თარიღის წინა დღეს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7(2) მუხლში ან, თუ არ არსებობს შესაბამისი აქციონერთა რეგისტრაციის თარიღი, აქციონერთა კრების თარიღამდე საკმაოდ ადრე, რათა საშუალება მიეცეთ სხვა აქციონერებს, დანიშნონ ნდობით აღჭურვილი პირი, საჭიროების შემთხვევაში, ან ხმა მისცენ ფოსტით.	№1	193.2	თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით მოცემული შემთხვევა იწვევს პარტნიორთა კრების დღის წესრიგის ცვლილებას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია, სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს აქციონერებს განახლებული დღის წესრიგი ამ კანონის 191-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით. თუ განახლებული დღის წესრიგის მიწოდების ვალდებულება წარმოიშობა სააღრიცხვო დღის შემდგომ, მისი მიწოდება უნდა მოხდეს პარტნიორთა კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება მიეცეთ, დანიშნონ წარმომადგენელი ან ხმა მისცენ წერილობით.	სშ	

7.1	წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ: (a) აქციონერის უფლება, მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა კრებაში და გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება ნებისმიერ თავის აქციასთან მიმართებით არანაირად არ იყოს დაკავშირებული მოთხოვნასთან, რომ მოხდეს მისი აქციების დეპონირება, გადაცემა ან რეგისტრაცია სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელზე, აქციონერთა კრების წინ და;	№1	199.2	ბათილია შეთანხმება, რომელიც ზოგადად ავალდებულებს აქციონერს ხმის უფლება გამოიყენოს სააქციო საზოგადოების ორგანოების მითითებების შესაბამისად.	წმ	კანონპროექტი დირექტივისგან განსხვავებით ადგენს უფრო მაღალ სტანდარტს და აყალიბებს ზოგად ჩანაწერს, რომელიც აქციონერის უფლების გარანტიას არ ზღუდავს მხოლოდ დეპონირების, გადაცემის ან რეგისტრაციის საკითხებით.
	(b) აქციონერთა უფლება, გაყიდონ ან სხვაგვარად მოახდინონ აქციების გადაცემა აქციონერთა რეგისტრაციის თარიღსა, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 პუნქტში და აქციონერთა კრებას შორის პერიოდში, რომელსაც ის ეხება, არ ექვემდებარებოდეს არანაირ შეზღუდვას, რომელსაც ის არ ექვემდებარება სხვა დროს.	№1	194.6	აქციონერის უფლებები, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი წილი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სააღრიცხვო თარიღსა და პარტნიორთა კრებას შორის პერიოდში, არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე ისეთ შეზღუდვას, რომელიც ჩვეულებრივ არ იმოქმედებდა მათ მიმართ.	სმ	
7.2	წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ აქციონერთა უფლებები, მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა კრებაში და ხმა მისცენ თავიანთი აქციებიდან გამომდინარე, განისაზღვრება აქციონერთა კუთვნილებაში არსებულ აქციებთან მიმართებით, აქციონერთა კრებამდე კონკრეტულ დღეს (აქციონერების რეგისტრაციის თარიღი).	№1	194.1	პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ კრების სააღრიცხვო დღისათვის.	სმ	
	წევრ სახელმწიფოებს არ სჭირდებათ, პირველი ქვეაზიცი მიუსადაგონ კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ აქციონერთა არსებული რეესტრიდან განსაზღვრონ აქციონერების სახელები და მისამართები აქციონერთა კრების დღეს.				ას	დირექტივის მოცემული დებულება დისკრეციული ხასიათისაა
7.3	თითოეული წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ყველა კომპანიას მიესადაგებოდეს ერთი აქციონერების რეგისტრაციის თარიღი. თუმცა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება დაადგინოს აქციონერთა ერთი რეგისტრაციის თარიღი კომპანიებისთვის, რომლებმაც გამოუშვეს მატერიალიზებული აქციები და აქციონერთა რეგისტრაციის სხვა თარიღი კომპანიებისთვის, რომლებმაც გამოუშვეს სახელობითი აქციები, იმ პირობით, რომ თითოეულ კომპანიას, რომელმაც გამოუშვა ორივე ტიპის აქცია, მიესადაგება ერთი აქციონერთა რეგისტრაციის თარიღი. აქციების რეგისტრაციის თარიღი არ იქნება იმ აქციონერთა კრების თარიღამდე 30 დღეზე ადრე, რომელსაც ის	№1	194.2	სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს კრების ჩატარებამდე 30 დღით ადრე. ამ კანონის 191-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო თარიღს შორის გასული უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.	სმ	

	აქციონერებისთვის, აქციონერთა კრებაში მონაწილეობის		გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა	სშ	
--	---	--	---	----	--

	საშუალების მიცემის მიზნით, შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ მოთხოვნებსა და შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია აქციონერთა იდენტიფიკაციისა და ელექტრონული კომუნიკაციის უსართოების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ამ მიზნის მიღწევის პროპორციულია. ეს ხდება იმ კანონიერი წესების დაცვით, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ან შეიძლება მიიღონ კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან მიმართებით, ელექტრონული საშუალებებით მონაწილეობის ნებისმიერი ფორმის შემოსაღებად ან დასაწერად.			იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელ ორგანოს.		
9.1	ყველა აქციონერს აქვს უფლება დასვას კითხვები, რომლებიც უკავშირდება დღის წესრიგში არსებულ საკითხებს. კომპანია ვალდებულია უპასუხოს აქციონერის მიერ დასმულ შეკითხვებს.	№1 №1	204. 1 204. 2	პარტნიორთა კრების მსვლელობისას პარტნიორთა კრების მონაწილე ყოველ აქციონერს აქვს უფლება დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერს უპასუხოს და მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად.	სშ	
9.2	კითხვის დასმის უფლება და პასუხის გაცემის ვალდებულება ექვემდებარება ზომებს, რომლებიც შეიძლება წევრმა სახელმწიფოებმა მიიღონ ან კომპანიებს მისცენ მათი მიღების უფლება, რათა უზრუნველყონ აქციონერთა იდენტიფიკაცია, აქციონერთა კრების სათანადო მსვლელობა და მისი სათანადო მომზადება და კომპანიების კონფიდენციალობისა და ბიზნეს ინტერესების დაცვა. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უფლება მისცენ კომპანიებს, ერთი საერთო პასუხი გასცენ ერთნაირი შინაარსის მქონე კითხვებზე. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ, რომ პასუხი ჩაითვალოს გაცემულად, თუ შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია კომპანიის ინტერნეტ საიტზე, კითხვა პასუხის ფორმატში.	№1	204.3	ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილ ინფორმაციაზე, თუ: ა) ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი; ბ) ამგვარი ინფორმაციის გაცემა გამოიწვევს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას; გ) დასმულ შეკითხვაზე პასუხი კრების გამართვამდე და მისი მსვლელობისას გაცემულია სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით.	სშ	

10.1	ყოველ აქციონერს აქვს უფლება, აირჩიოს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი წარმომადგენლად, რომელსაც შეეძლება დაესწროს აქციონერთა კრებას და დააფიქსიროს ხმა. წარმომადგენელს აქვს აქციონერთა კრებაზე საუბრისა და კითხვების დასმის ისეთივე უფლება, როგორც იმ აქციონერს, რომელსაც ის წარმოადგენს. გარდა მოთხოვნისა, რომ წარმომადგენელი იყოს ქმედითუნარიანი, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ნებისმიერი იურიდიული წესი, რომელიც ზღუდავს ან ნებას რთავს კომპანიებს შეზღუდოს პირების წარმომადგენლებად დანიშვნის უფლება.	№1	195.1	პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება აქციონერს შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.	სშ	
		№1	195.2	წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონული ფორმით, მათ შორის ელექტრონული პორტალის მეშვეობით. ამასთან, სააქციო საზოგადოება, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, თავად ან მესამე პირის მეშვეობით, აქციონერებს უნდა სთავაზობდეს ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების სულ მცირე ერთ ეფექტურ საშუალებას.		
10.2	წევრი სახელმწიფოები წარმომადგენლის დანიშვნისას შეიძლება შემოფარგლონ ერთჯერადი კრებით ან ისეთი კრებებით, რომლებიც ტარდება განსაზღვრულ პერიოდში. მე-13(5) მუხლის დაურღვევლად, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ იმ პირების რაოდენობა, რომლებიც აქციონერებმა შეიძლება დანიშნონ წარმომადგენლებად აქციონერთა ნებისმიერ კრებაზე. თუმცა, თუ აქციონერი კომპანიის აქციებს ინახავს ფასიანი ქაღალდების ერთზე მეტ ანგარიშზე, მსგავსი შეზღუდვა არ უნდა აბრკოლებდეს აქციონერს, აირჩიოს ცალკეული წარმომადგენელი თითოეულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე განთავსებულ აქციებთან მიმართებით აქციონერთა ნებისმიერ კრებაზე. ეს გავლენას არ ახდენს შესაბამისი კანონით განსაზღვრულ წესებზე, რომლებიც კრძალავს ხმების სხვადასხვაგვარად მიცემას იმ აქციებთან მიმართებით, რომლებსაც ფლობს ერთი აქციონერი.				ას	დირექტივის მოცემული დებულება დისკრეციული ხასიათისაა და აძლევს სახელწმიფოს შესაძლებლობას
10.3	1-ელ და მე-2 პუნქტებში ცალსახად დაშვებული შეზღუდვების გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა შეზღუდონ და არ უნდა მისცენ კომპანიებს უფლება შეზღუდონ წარმომადგენლების მეშვეობით აქციონერთა უფლებების გამოყენება ნებისმიერი მიზნით, გარდა ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებისა, წარმომადგენელსა და აქციონერს შორის, რომლის ინტერესებშიც წარმომადგენელი ვალდებულია იმოქმედოს ისე, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მას არ დააკისრონ ვალდებულებები, გარდა შემდეგი ვალდებულებებისა: (ა) წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება განსაზღვრონ, რომ წარმომადგენლებმა გაამჟღავნონ სხვადასხვა	№1	195. 5	დაუშვებელია წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერის უფლებების განხორციელების რაიმე ფორმით შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.	სშ	
		№1	195.6	წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს ის ფაქტები, რაც საჭიროა აქციონერებისათვის იმ რისკის		

	კონკრეტული ფაქტები, რომლებიც აქციონერებისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ნებისმიერი რისკის შეფასებისას, რომლის წინაშეც შეიძლება იდგეს წარმომადგენელი და რომელიც განსხვავდება აქციონერების ინტერესებისგან;			შესაფასებლად, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები.		
	(b) წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ ან გამორიცხონ აქციონერთა უფლებების გამოყენება წარმომადგენლის მეშვეობით კონკრეტული, კენჭისყრასთან დაკავშირებული ინსტრუქციების გარეშე, თითოეული რეზოლუციისთვის, რომელთან მიმართებითაც წარმომადგენელმა უნდა მისცეს ხმა აქციონერის სახელით;				ას	დებულება დისკრეციული ხასიათისაა და აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას
	(c) წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ ან გამორიცხონ მინდობილობის სხვა პირისთვის გადაცემა, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს წარმომადგენელს, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს, განახორციელოს მასზე გადაცემული უფლებამოსილება, მისი ადმინისტრაციული ან მართვის ორგანოს ნებისმიერი წევრის ან ნებისმიერი თანამშრომლის მეშვეობით.				ას	დებულება დისკრეციული ხასიათისაა და აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას
	წინამდებარე პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება განსაკუთრებით გაჩნდეს, როცა წარმომადგენელი: (i) არის კომპანიის მაკონტროლებელი აქციონერი ან სხვა სუბიექტი, რომელსაც აკონტროლებს ასეთი აქციონერი;	№1	195.7. „ა“	წარმომადგენელსა და აქციონერს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა შემდეგ შემთხვევებში: ა) წარმომადგენელი სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერია ან სხვა სამეწარმეო საზოგადოებაა, რომელიც ასეთი აქციონერის მიერ კონტროლდება;	სშ	
	(ii) არის კომპანიის ადმინისტრაციული, მართვის ან საზედამბედველო ორგანო, მაკონტროლებელი აქციონერი ან კონტროლირებადი სუბიექტი, რომელიც მითითებულია ქვეპუნქტში (i);	№1	195.7. „ბ“	წარმომადგენელსა და აქციონერს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა შემდეგ შემთხვევებში: ბ) წარმომადგენელი სააქციო საზოგადოების ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სამეწარმეო საზოგადოების მმართველობითი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია;	სშ	
	(iii) არის კომპანიის, მაკონტროლებელი აქციონერის ან (i) ქვეპუნქტში მითითებული კონტროლირებადი სუბიექტის თანამშრომელი ან აუდიტორი;	№1	195.7. „გ“	წარმომადგენელსა და აქციონერს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა შემდეგ შემთხვევებში: გ) წარმომადგენელი სააქციო საზოგადოების ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სამეწარმეო საზოგადოების დასაქმებულია ან აუდიტორია;	სშ	
	(iv) აქვს საოჯახო ურთიერთობები (i)-(iii) ქვეპუნქტებში მითითებულ ფიზიკურ პირებთან.	№1	195.7. „დ“	წარმომადგენელსა და აქციონერს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა შემდეგ შემთხვევებში: დ) ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ფიზიკური პირის ოჯახის წევრია.	სშ	
10.4	წარმომადგენელი ხმას აძლევს არჩევის უფლების მქონე აქციონერის გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად.	№1	195.8	წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს იმ ინსტრუქციების მიხედვით, რაც მას წარმოდგენილმა აქციონერმა განუსაზღვრა.	სშ	
	წევრმა სახელმწიფოებმა წარმომადგენლებს შეიძლება მოსთხოვონ, აწარმოონ კენჭისყრასთან დაკავშირებული ინსტრუქციების აღრიხცვა განსაზღვრული ან საარჩევნო პერიოდით და მოითხოვონ ინსტრუქციების განხორციელება.				ას	მოცემული დებულება დისკრეციული ხასიათისაა და სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას

10.5	პირს, რომელიც მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, შეიძლება ჰქონდეს მინდობილობა ერთზე მეტი აქციონერისგან, წარმომადგენელი აქციონერების რაოდენობის შეუზღუდავად. თუ წარმომადგენელს მინდობილობა აქვს რამდენიმე აქციონერისგან, მოქმედი კანონი საშუალებას აძლევს მას სხვადასხვა აქციონერებისთვის ხმა სხვადასხვაგვარად მისცეს.	№1	195.9	თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს განსხვავებულად მისცეს ხმა სხვადასხვა აქციონერისათვის.	სშ	
11.1	წევრი სახელმწიფოები უფლებას აძლევენ აქციონერებს, წარმომადგენელი დანიშნონ ელექტრონული საშუალებებით. უფრო მეტიც, წევრი სახელმწიფოები უფლებას აძლევენ კომპანიებს, ელექტრონული საშუალებებით მიიღონ დანიშვნის შეტყობინება და უზრუნველყოფონ, რომ ყველა კომპანიამ შესთავაზოს აქციონერს ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების მინიმუმ ერთი ეფექტური მეთოდი.	№1	195.2	წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონული ფორმით, მათ შორის ელექტრონული პორტალის მეშვეობით. ამასთან, სააქციო საზოგადოება, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, თავად ან მესამე პირის მეშვეობით, აქციონერებს უნდა სთავაზობდეს ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების სულ მცირე ერთ ეფექტურ საშუალებას.	სშ	
11.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაძლებელი იყოს წარმომადგენლების დანიშვნა და ამის შესახებ კომპანიას ეცნობოს მხოლოდ წერილობით. ამ მთავარი ოფიციალური მოთხოვნის მიღმა, წარმომადგენლის დანიშვნა, დანიშვნის კომპანიისთვის შეტყობინება და კენჭისყრასთან დაკავშირებული ინსტრუქციების გაცემა, მათი არსებობის შემთხვევაში, შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ ოფიციალურ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა აქციონერისა და წარმომადგენლის იდენტიფიკაციის ან შესაბამისად, კენჭისყრასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შინაარსის დადასტურების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი შესაბამეა აღნიშნულ მიზნებს.	№1	195.10	წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტაზე ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი.		
11.3	წინამდებარე მუხლის დებულებები, სათანადო შესწორებების შეტანით, გამოიყენება წარმომადგენლის დანიშვნის გასაუქმებლად.					
12	წევრმა სახელმწიფოებმა კომპანიებს უნდა მისცენ უფლება, შესთავაზონ თავიანთ აქციონერებს ფოსტით ხმის მიცემა აქციონერთა კრებამდე. ფოსტით ხმის მიცემა შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ მოთხოვნებსა და შეზღუდვებს, რომლებიც საჭიროა აქციონერის იდენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი თანაზომიერია აღნიშნული მიზანისა.	№1	196.2	სააქციო საზოგადოების წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს აქციონერის მიერ ხმის მიცემა პარტნიორთა კრებამდე და მასზე დასწრების გარეშე წერილობით, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით. ამ ფორმით ხმის მიცემა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა კრების დაწყებამდე.	სშ	
13	1. წინამდებარე მუხლი გამოიყენება, თუ მოქმედი კანონით აქციონერად აღიარებული ფიზიკური ან იურიდიული პირი				ას	მოცემული დებულება ალტერნატიული ხასიათისაა და კანონპროექტში არ გამოიყენება

	მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის (კლიენტის) სახელით. 2. თუ მოქმედი კანონი აწესებს გასაჯაროების მოთხოვნებს, როგორც 1-ელ პუნქტში მითითებული აქციონერის მიერ ხმის მიცემის უფლებების განხორციელების წინაპირობას, აღნიშნული მოთხოვნები არ უნდა გასცდეს სიას, რომელიც კომპანიას აცნობს თითოეული კლიენტის ვინაობასა და მის სახელზე კენჭნაყარი აქციების რაოდენობას. 3. როცა შესაბამისი კანონი აწესებს ოფიციალურ მოთხოვნებს 1-ელ პუნქტში მითითებული აქციონერისთვის საარჩევნო უფლების განხორციელების უფლებამოსილების მიცემაზე ან კენჭისყრასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებზე, აღნიშნული ოფიციალური მოთხოვნები არ უნდა გასცდეს იმას, რაც აუცილებელია კლიენტის იდენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად ან, შესაბამისად, კენჭისყრასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შინაარსის დადასტურების შესაძლებლობისთვის და ის თანაზომიერია აღნიშნული მიზნებისა. 4. 1-ელ აბზაცში მითითებულ აქციონერს უფლება უნდა მიეცეს სხვადასხვა აქციასთან დაკავშირებული ხმები სხვადასხვაგვარად მისცეს. 5. თუ მოქმედი კანონი ზღუდავს იმ პირების რიცხვს, რომლებიც აქციონერმა შეიძლება დანიშნოს წარმომადგენლად მე-10(2) მუხლის შესაბამისად, ასეთმა შეზღუდვამ არ უნდა დააბრკოლოს წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული აქციონერი, მინდობილობა მისცეს მის თითოეულ კლიენტს ან კლიენტის მიერ დანიშნულ ნებისმიერ მესამე მხარეს.				
14.1	კომპანია თითოეული რეზოლუციისთვის ადგენს მინიმუმ იმ აქციების რაოდენობას, რომლებისთვისაც ხმის მიცემა მოხდა კანონიერად, აღნიშნული ხმებით წარმოდგენილი სააქციო კაპიტალის წილს, კანონიერად მიცემული ხმების საერთო რაოდენობას, ასევე თითოეული რეზოლუციის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობას და, საჭიროების შემთხვევაში, თავის შეკავების შემთხვევების რაოდენობას. თუმცა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ ან უფლება მისცენ კომპანიებს უზრუნველყონ, რომ თუ არცერთი აქციონერი არ მოითხოვს კენჭისყრის დეტალურ ანგარიშს, საკმარისი იყოს მხოლოდ ხმის მიცემის შედეგების დადგენა იმ მოცულობით, რაც საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყოველი რეზოლუციისთვის მიღწეული იქნეს ხმების საჭირო უმრავლესობა.				შ კანონპროექტი ითვალისწინებს ხმათა 3/4 -ის უმრავლესობით (ყველა) გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისად, გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციისათვის, აწესებს დირექტივასთან შედარებით უფრო მაღალ სტანდარტს, ყველა გადაწყვეტილებასთან მიმართებით. ას მოცემული დებულება ალტერნატიული ხასიათისაა და კანონპროექტში არ გამოიყენება

14.2.	მოქმედი კანონით დადგენილი დროის მონაკვეთში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს აქციონერთა კრების შემდეგ, კომპანიამ თავის ინტერნეტ გვერდზე უნდა გამოაქვეყნოს 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაგენილი ხმების შედეგები.	№1	203	იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობაც დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, პარტნიორთა კრების ჩატარებიდან არა უგვიანეს 15 დღისა უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია კენჭისყრის შედეგების შესახებ.	სშ	
14.3	წინამდებარე მუხლი მოქმედებს ყველა იმ სამართლებრივი წესის შეუზღუდავად, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ან შეიძლება მიიღონ იმ ფორმალობებთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ რეზოლუცია გახდეს მოქმედი ან ეხება ხმის მიცემის შედეგების თანმდევ სამართლებრივ გამოწვევებს.				ას	მოცემული დებულება მიემართება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს
15	წევრ სახელმწიფოებს ძალაში შეჰყავთ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომელიც აუცილებელია წინამდებარე დირექტივის შესასრულებლად, არაუგვიანეს 2009 წლის 3 აგვისტოსა. ისინი კომისიას მაშინვე ატყობინებენ ამ ზომების შინაარსს. მიუხედავად პირველი აბზაცისა, წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც 2006 წლის 1 ივლისს ძალაში ჰქონდათ ეროვნული ზომები, რომლებიც ზღუდავდნენ ან კრძალავდნენ წარმომადგენლის დანიშვნას, მე-10(3) მუხლის მეორე აბზაცის (ii) ქვეპუნქტის შემთხვევაში, ძალაში უნდა შეიყვანონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები მე-10(3) მუხლის შესასრულებლად აღნიშნული შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ, არაუგვიანეს 2012 წლის 3 აგვისტოსა. წევრმა სახელმწიფოებმა მაშინვე უნდა შეატყობინონ მე-6(3) და მე-7(3) მუხლით განსაზღვრული დღეების რაოდენობისა და მათი ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ კომისიას, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას გამოაქვეყნებს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. თუ წევრი სახელმწიფოები მიიღებენ პირველ აბზაცში მითითებულ ზომებს, ისინი უნდა შეიცავდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან მათ უნდა დაერთოს აღნიშნული მითითება, მათი ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. აღნიშნული მითითებების გაკეთების მეთოდები უნდა განსაზღვრონ წევრმა სახელმწიფოებმა.				ას	მოცემული დებულება მიემართება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს
16	წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.				ას	მოცემული დებულება მიემართება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ეხება დირექტივის ძალაში შესვლის საკითხს

17	ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	მოცემული დებულება მიემართება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს
----	---	--	--	--	----	--